ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6036317

ნომერი: AR1911998

თარიღი : 12.07.2022

გაცემის თარიღი : 14.07.2022

გაცნობის თარიღი : 15.07.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა, N 12ა;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლია სარჯველაძე პ/ნ 01030007540
- თბილისი თევდორე მღვდლის ქ. N 3/32 ბ. 33

ორგანიზაცია:
- შპს გეკო კოდი: 402159203

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 20 კუბ.მ-მდე მოცულობის 10 მ-მდე სიმაღლის და 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობა ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: გათხევადებული ნახშირწყალბადიანი გაზების მომხმარებლისთვის მიწოდების ობიექტები, მათი სახეობები და მათი უსაფრთხო ექსპლუატაციასთან დაკავშირებული პირობები რეგულირდება საქართველოს მთავრობის 15.01.14 წ. N76 დადგენილებით დამტკიცებული „გათხევადებული ნახშირწყალბადიანი გაზების (პროპან–ბუტანი) გაზსავსები სადგურების, პუნქტების, ბალონების, საშუალედო საწყობების, ავტომობილების გასამართი სადგურების, სარეზერვუარო, ჯგუფური და ინდივიდუალური გაზბალონიანი დანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით. ამ რეგლამენტის მე–2 მუხლის მე–12 პუნქტის თანახმად, მცირემწარმოებლურობის საწარმო (საამქრო), რომლის დანიშნულებაა გათხევადებული ნახშირწყალბადიანი გაზების მიღება უპირატესად საავტომობილო ტრანსპორტით, მათი შენახვა და მომხმარებლისათვის მიწოდება ბალონებით, ანუ რა მიზნითაც თქვენ გათვალისწინებული გაქვთ ცისტერნის განთავსება, წარმოადგენს მომსახურების ისეთ ობიექტს, რომელსაც ეწოდება „გაზსავსები პუნქტი“, ხოლო რეგლამენტის მე–10 და მე–11 პუნქტებით განსაზღვრულია ის პირობები და მოთხოვნები, რომელთა გათვალისწინება სავალდებულოა მისი განთავსების ადგილის შერჩევისა და დაპროექტების დროს. რაც შეეხება ცალკე აღებულ ცისტერნას, მასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს მთავრობის 31.12.13წ. N 410 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით და მისი მე–2 მუხლის მე–12 პუნქტის თანახმად, როცა იგი, ისევე როგორც მსგავსი დანიშნულების სხვა მოცულობითი ნაკეთობები (ბალონი, კასრი და სხვა), განკუთვნილია გაზების წნევის ქვეშ მოსათავსებლად, მათი შენახვისა და ტრანსპორტირებისათვის, მას ეწოდება „წნევაზე მომუშავე ჭურჭელი“. თავის მხრივ კი ასეთი ჭურჭელი, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“–ს მე–18 მუხლის მე–5 პუნქტის თანახმად, წარმოადგენს „მომატებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტს“ და მასზე ვრცელდება ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები. გარემოებათა დამატებით გამოკვლევის, სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსთან საკითხების დაზუსტების და მათი შეჯერების შედეგად დადგინდა, რომ მხოლოდ ცისტერნის განთავსებით და მხოლოდ მისი საშუალებით ვერ იქნება უზრუნველყოფილი „გაზსავსები პუნქტი“–ს ტექნოლოგიური გამართულობა, სრულყოფილი ფუნქციონირება და მისი უსაფრთხო ექსპლუატაცია, რის გამოც იგი უნდა დაპროექტდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N76 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამეტის მე–3 თავის მოთხოვნათა შესაბამისად. ხოლო ასეთ შემთხვევაში, ვინაიდან ცისტერნა, როგორც „წნევაზე მომუშავე ჭურჭელი“ თავად წარმოადგენს „მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტს“ და ამასთანავე „გაზსავსები პუნქტის“ ძირითად ტექნოლოგიურ მოწყობილობას, მისი საფრთხის შემცველი მახასიათებლები ვრცელდება მთლიანად „გაზსავსებ პუნქტზეც“. აქედან გამომდინარე კი დადგინდა, რომ „გაზსავსები პუნქტი“, ანალოგიურად გაზგასამართი სადგურისა, განეკუთვნება IV კლასს დაქვემდებარებულ შენობა–ნაგებობებს და იგი საჭიროებს მშენებლობის ნებართვის გაცემას სამივე სტადიით, რომელთაგანაც I სტადიაზე, როგორც სხვა ადმინისტრაციული ორგანო, ჩართული უნდა იქნას სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ამ ეტაპზე სამსახური თქვენს მოთხოვნას გათხევადებული ნახშირწყალბადიანი სადგურის (გაზის) რეზერვუარების და დისპანსერის განთავსებას I კლასის კუთხით ვერ განიხილავს და მოკლებულია თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული,

სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.